

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი

24.06.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მაგდა მადრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ადამასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
თუთა წარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი (შემდგომში - მდივანი);
ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ბორის ლეჟავა - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ემზარ ბარბაქაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვალერი მიქაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
დავით ტეფნაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
თეა ჯუღელი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ციცაგი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი ცხვედიანი - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს პრორექტორი;
ნონა ზუმბაძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი;

გია კავთელიშვილი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს რექტორი;
შალვა ჭკადუა - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო მოდებაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორი;
მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

გოდერძი ბუჩაშვილი;

მაია ბიწაძე;

ზაზა რუხაძე;

ზვიად როგავა;

თეიმურაზ კოჩაძე;

მანანა მოისწრაფიშვილი;

დავით ჩიჩუა;

მურად გარუჩავა.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირებისა და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ პირებს, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიაში

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, თეიმურაზ კოჩაძემ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი და დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები:

- ისეთი საგნების შესასწავლად, როგორიცაა საავიაციო ძრავები, სათბობი და საპოხი მასალები, საინჟინრო ეკოლოგია და გარემოს დაცვა, საფრენი აპარატების ფუნქციური სისტემები და სხვა, სტუდენტებისთვის თერმოდინამიკური პროცესების ცოდნა და გაცნობიერება მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთი საგანი, მაგალითად „საავიაციო ძრავები“, თავისივე შინაარსში მოიცავდა თერმოდინამიკური საკითხების ელემენტებს. სასურველი იყო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში, საფაკულტეტო ზოგადი სავალდებულო საგნების ციკლში ან ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კომპონენტებში „თერმოდინამიკის“ ცალკე კურსად გამოყოფა;

- სასწავლო კურსის, „საავიაციო საკონსტრუქციო მასალები“, ძირითადი ლიტერატურა მოძველებული იყო (გიორგიძე ე. მასალათმცოდნეობა. თბილისი: განათლება, 1984. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად ლითონმცოდნეობაში. სპი, თბილისი, 1989; ბიტევა მ. სიამაშვილი ზ. ლითონთა ტექნოლოგიის პრაქტიკულის თეორიული საფუძვლები. თბილისი, სტუ, 1999) თუმცა, შეთავაზებული იყო 2013 წელს მომზადებული სალექციო კონსპექტის ელექტრონული ვერსიაც. სასურველი იყო, ძველი სახელმძღვანელოების ახალი სახელმძღვანელოებით ჩანაცვლება.

- სასწავლო კურსის „საფრენი აპარატების დაპროექტება და კონსტრუირება“ ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული გამოცემები. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამა მოიცავდა საკმარის კრედიტებს ინგლისურ ენაში, მაინც სასურველი იქნებოდა აღნიშნულ სილაბუსში ქართულ ენაზე კონსპექტივ ყოფილიყო დამატებული ძირითად ლიტერატურად ან უკიდურეს შემთხვევაში, ამ სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობად მითითებული ყოფილიყო „ინგლისური ენა B2“, „პროფესიული ინგლისური ენა I“ ან „პროფესიული ინგლისური ენა II“ სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორის მოსაზრების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასწავლო კურსის დამატებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, ექსპერტის მიერ აღნიშნული საკითხები კი საფრენი აპარატების ძრავებთან დაკავშირებულ კურსებში იყო მოცემული. სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ 2013 წელს მომზადებული ელექტრონული სახელმძღვანელო მიმდინარე წლის აგვისტოში დაიბეჭდებოდა.

უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან ლიტერატურა ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესებულება ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობას აწესებდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამა უცხოურ დასაქმების ბაზარზე იყო ორიენტირებული თუ ქართულზე, ასევე, უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმებითა და კურსდამთავრებულთა საერთაშორისო სერტიფიცირების პრაქტიკის არსებობით. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი საავიაციო ქარხანასთან თანამშრომლობდა და მისი გაძლიერებაც დაწესებულების ინტერესს წარმოადგენდა. წარმომადგენლის თქმით, საავიაციო განათლების მქონე ინჟინრებზე დიდი მოთხოვნა იყო, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა გამორჩეულ კურსდამთავრებულებზე, რომლებიც საზღვარგარეთ იყვნენ დასაქმებულები, ასევე, შეეხო დელტასთან და თბილავიამშენთან გაფორმებულ მემორანდუმებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, საჭიროებოდა თუ არა პროგრამა საერთაშორისო აკრედიტაციას, ვინაიდან მოცემული სფერო საერთაშორისო დონეზე იყო რეგულირებული და პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად საქმდებოდნენ უცხო სახელმწიფოების ავიაკომპანიებში. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სერტიფიცირებას საქართველოს ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანია გადიოდა, რასაც საავიაციო სააგენტო უზრუნველყოფდა - გაიცემოდა შესაბამისი ლიცენზია, რაც ფუნქციონირების უფლებამოსილებას ანიჭებდა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, რამდენად საკმარისი იყო დასახული მიზნებისთვის პროგრამის არსებული აკადემიური საფეხური და საჭიროებდა თუ არა იგი უფრო მაღალ დონეს. პასუხად წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომელთა საფუძველიც აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა იყო. კურსდამთავრებულებს ინჟინერის ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორი იყო პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ხორციელდებოდა თუ არა პრაქტიკული კომპონენტი რომელიმე საწარმოში. პასუხად ექსპერტმა განაცხადა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სრულად იყო აღჭურვილი და პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტები სამ ბაზაზე გადიოდნენ. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტის თქმით, დაწესებულება ფლობდა აეროდრომს თელავში, სადაც სტუდენტი პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას იღებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საფრენი აპარატების დაპროექტებისა და წარმოების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: სამართალი

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი და დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

- სასწავლო კურსი „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ მიზნად ისახავდა მხოლოდ სამართლის თეორიისა და მეთოდების სწავლებას. შესაბამისად, სტუდენტი ვერ ეუფლებოდა სახელმწიფოთმცოდნეობის საკითხებს, რაც რელევანტური იყო მთელი რიგი სასწავლო კურსების, უპირველეს ყოვლისა კი, სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო სამართლის“ სწავლებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იყო სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო სამართლის“ სწავლებას წინ უსწრებდეს სასწავლო კურსი „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში (სახელმწიფოთმცოდნეობა).“

- სასურველი იყო „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის“ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურისა და ნორმატიული აქტების გაფართოვება, ვინაიდან სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა და ნორმატიული აქტები (ფილიპ ლიჩი. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია) სრულად ვერ ფარავდა ამავე სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკას.

- სასწავლო კურსის - „კაზუსის ამოხსნის ტექნიკა და მეთოდები ადამიანის უფლებების სამართალში“ - სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა ფაქტობრივად იდენტური იყო სასწავლო კურსის - „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და

თავისუფლებების“ - სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურის აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისათვის სასურველი იყო გამოყენებული ყოფილიყო ისეთი რელევანტური სასწავლო ლიტერატურა, როგორიცაა ი. კობახიძე, ძირითადი უფლებები (კაზუსის ამოხსნის სტანდარტული სქემები, კაზუსის ამოხსნის ნიმუშები), თბ., 2007 და დ. გეგენავა, ზ. მაჭარაძე, კაზუსები საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2013.

- სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული თემატიკიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე სასურველი იყო სასწავლო კურსის სახელი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართალი“ შეცვლილიყო „კულტურის სამართალი“, ხოლო სასწავლო კურსს „შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში“ - „საერთაშორისო საჯარო სამართალი“.

- დასაზუსტებელი იყო სასწავლო კურსის „სააღსრულებო სამართალი“-ს კრედიტი (5 ECTS), ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსი ფაქტობრივად მხოლოდ ერთი საკანონმდებლო აქტის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის სწავლებას გულისხმობდა, რომლის მოცულობაც 55 გვერდს შეადგენდა (იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442>), მაშინ როდესაც იმავე კრედიტის (5 ECTS) სასწავლო კურსი „საბაჟო სამართალი“ ძირითადი ლიტერატურის სახით ითვალისწინებდა 30 ნორმატიული აქტის სწავლებას.

- თემატიკიდან და სწავლების შედეგებიდან გამომდინარე, სასურველი იყო სასწავლო კურსის სახელი „საგადასახადო სამართლის საფუძვლები“ შეცვლილიყო „საგადასახადო სამართალი“. ამასთან, აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების თემატიკა სასურველი იყო დალაგებულიყო სასწავლო კურსის ზოგადი და კერძო ნაწილის პრინციპით, ხოლო სასწავლო კურსის კერძო ნაწილის სწავლებისათვის გამოყენებული ყოფილიყო 2013 წლის დამხმარე სახელმძღვანელო - ზ. როგავა, ზ. ამილახვარი „საგადასახადო სამართალი. საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები“.

- შედარებითი სამართალმცოდნეობის საკითხები სამართლის საბაკალავრო პროგრამიდან სასურველი იყო გადატანილი ყოფილიყო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში. ლოგიკას მოკლებული იყო სასწავლო კურსის „შედარებითი სისხლის სამართლის“ სწავლება სამაგისტრო დონეზე, ხოლო სასწავლო კურსის „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესის“ - საბაკალავრო დონეზე. აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, სასურველი იყო სასწავლო კურსები „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“, „საერთაშორისო კომერციული სამართალი“, „საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი“, „შედარებითი კერძო სამართლის საფუძვლები“ სამართლის საბაკალავრო პროგრამიდან გადატანილი ყოფილიყო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში.

- სასწავლო კურსის „საერთაშორისო საზღვაო სამართლის“ (5 ECTS) სილაბუსის ძირითადი ლიტერატურისა და თემატიკის ნაწილში სასწავლო ლიტერატურის სახით მითითებული იყო მხოლოდ ლ. ალექსიძის დამხმარე სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“. აღნიშნულ სახელმძღვანელოში საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხებს მხოლოდ ერთი მე-12 თავი ეთმობოდა, რაც მოცულობით 28 გვერდს შეადგენდა. შესაბამისად, ეჭვქვეშ დგებოდა აღნიშნული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტი. აუცილებელი იყო გაფართოებულიყო აღნიშნული სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურის ნუსხა, მათ შორის საერთაშორისო კონვენციების ხარჯზე.

- სასწავლო კურსი „საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები“ საერთაშორისო სამართლის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან გადატანილი უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

- სასწავლო კურსის „სამოხელეო სამართლის“ სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა სასურველი იყო შევსებულიყო აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისათვის რელევანტური ლიტერატურით. კერძოდ, დ. ზარდიაშვილი, ა. სვანიშვილი, ი. ჩიტალაძე, „საჯარო სამსახური“ თბ., 2004. მასთან, სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ნაწილი (ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოები) სასურველი იყო გადატანილი ყოფილიყო დამატებით ლიტერატურაში.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, დაზუსტებულიყო სასწავლო კურსის „სასჯელები სისხლის სამართალში“ სილაბუსის მე-12, მე-13 თემების სწავლებისათვის განსაზღვრული ძირითადი ლიტერატურა.

- მოცულობიდან და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველი იყო სასწავლო კურსები „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ და „სისხლის სამართლის პროცესი“ გაყოფილიყო ორ ნაწილად.

- სასწავლო კურსებს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I“ და „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II“ სასურველი იყო შესაბამისად წოდებოდა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“ და „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)“ და სასწავლო თემატიკაც დალაგებულიყო აღნიშნული დასახელებების შესაბამისად.

- სასწავლო კურსის „შესავალი სასჯელადსრულების სამართალში“ ძირითადი ლიტერატურა შემოფარგლული იყო მხოლოდ ნორმატიული აქტების სწავლებით. სასწავლო კურსის ეფექტურად სწავლებისთვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო მორის შალიკაშვილის, გივი მიქანაძის, მაია (ზოია) ხასიას 2014 წლის დამხმარე სახელმძღვანელო „სასჯელადსრულების სამართალი“. ამასთან, თემატიკიდან და სწავლების შედეგებიდან გამომდინარე, სასურველი იყო აღნიშნულ სასწავლო კურსის სახელი შეცვლილიყო „სასჯელადსრულების სამართალი“.

- შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი საჭირო იყო გაყოფილიყო ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად. კერძო და საჯარო სამართლის დარგების მექანიკური გაერთიანება ერთ სასწავლო კურსში მეთოდურად არაფრით არ იყო დასაბუთებული. ამასთან, შრომის სამართლის სილაბუსით სასურველი იყო გაფართოებულიყო ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია, ასევე შრომის საერთაშორისო სამართალი და შრომის პირობებთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველი იყო ნორმატიულ აქტები მითითებულიყო კორექტულად, მათი მიღების თარიღის მიხედვით, ასევე სასურველი იყო სსიპ „საქართველოს აკანონმდებლო მაცნე“-ს შესაბამისი ბმულის მითითებაც. მაგალითად, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644>

- სასწავლო კურსი „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკის“ ძირითად ლიტერატურად სასურველი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებისათვის ისეთი რელევანტური დამხმარე სახელმძღვანელოები, როგორიცაა

გ. თუმანიშვილი, „საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება: როგორ შევადგინოთ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები“, თბ., 2012. და გ. თუმანიშვილი, „ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება“, თბ., 2012.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა მოახსენა ექსპერტს საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეული და სრულყოფილი შეფასებისთვის. ასევე, გამოთქვა აზრი, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხები ალბათ პროგრამაში ჩართულ პროფესორებს თავად უნდა გადაეწყვიტათ.

საბჭოს წევრმა, ზორის ლეჟავამ ექსპერტს სთხოვა, დასკვნაში ასახული გარემოებების კლასიფიცირება მოეხდინა და გაემიჯნა სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნები აუცილებელი მითითებებისგან.

ექსპერტმა, ზვიად როგავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულ ერთ-ერთ სასწავლო კურსში 2015 წლამდე არ არსებობდა სახელმძღვანელო, დღეს კი ვინაიდან იგი უკვე ხელმისაწვდომი იყო, სახელმძღვანელო გამოყენებული უნდა ყოფილიყო კურსის სწავლების პროცესში და ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნორმატიული აქტებით არ უნდა შემოფარგლულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა ჯუღელმა საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები არჩევით საგნებს ეხებოდა, გარდა ერთი სავალდებულოსი, რომელთან დაკავშირებული რეკომენდაცია ვიზიტის დროსვე იქნა გათვალისწინებული. წარმომადგენლის თქმით, პროგრამა საკმაოდ მოცულობითი იყო და სულ 114 სასწავლო კურსს მოიცავდა. მისივე განმარტებით, სტუდენტების უმრავლესობა, რომლებიც სტაჟირებას იწყებდნენ, არ გააჩნდათ კონკრეტული ცოდნა, რაშიც მათ სწორედ აღნიშნული სასწავლო კურსების არჩევანი ხელს შეუწყობდა.

წარმომადგენლის თქმით, გამოსწორდა კაზუსის სამართლის თემატიკასთან დაკავშირებული გარემოებები. სააღსრულებლო სამართლის კურსი ძირითადად პრაქტიკული იყო და მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ იყო მოცულობითი, სტუდენტებს პრაქტიკულ ქეისებზე მოუწევდათ მუშაობა, რაც მოიცავდა კურსის ძირითად დატვირთვას. წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობას სურდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მეტი დოზით ყოფილიყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგადასახადო სამართლის საფუძვლებში, ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით, შეტანილ იქნა მითითებული სახელმძღვანელო, გიორგი თუმანიშვილის ავტორობით. ხელშეკრულების შედგენის მეთოდის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რომ, პროგრამის წარმომადგენელი უარს აცხადებდა მის შეტანაზე აღნიშნული სასწავლო კურსის ლიტერატურაში, რადგან სწავლებისთვის არარელევანტურად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ სახელმძღვანელო უმეტესწილად თეორიული იყო.

დაწესებულების პრორექტორის, გიორგი ცხვედიანის განცხადებით, პრაქტიკული თვალსაზრისით, შრომის სამართლის თემატიკის გაერთიანება მოხდა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებთან.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, იყო თუ არა სააღსრულებლო სამართლის სასწავლო კურსზე სტუდენტებისთვის შეთავაზებული რიდერი, ნაცვლად სახელმძღვანელოსი, რომლის თაობაზეც ექსპერტმა რეკომენდაციაში აღნიშნა. პასუხად ექსპერტმა განაცხადა, რომ რიდერი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს არ უნახავთ, მხოლოდ კანონი იყო ლიტერატურაში მითითებული, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები

აცხადებდნენ, რომ ასეთი რიდერი არსებობდა. დაწესებულების პრორექტორმა დაადასტურა, რომ რიდერი არსებობდა, თუმცა კურსის სილაბუსში მითითებული არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დასრულების შემდგომ დაკვანაში მოცემული გარემოებები იყო მთლიანად გაზიარებული და გამოსწორებული.

განხილვის ბოლოს, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს კითხვით მიმართა, დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების შემთხვევაში, გავიდოდა თუ არა პროგრამა შედეგებზე. ექსპერტმა პასუხად განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ დასკვნაში მითითებული შენიშვნების გაზიარების შემთხვევაში, პროგრამა გავიდოდა შედეგებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: სამართალი

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად როგავამ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი და დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები:

- სასურველი იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში ნორმატიულ აქტები, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მითითებულიყო კორექტულად, მათი მიღების თარიღის მიხედვით, ასევე სასურველი იყო სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს შესაბამისი ბმულის მითითებაც. მაგალითად, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი./იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29644> ან/და 2007 წლის 20 ივნისის ჩარჩო შეთანხმება ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის/ იხ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1395789>

- სასურველი იყო სასწავლო კურსი „სარეიტინგო კომპანიის სამართლის საფუძვლები“ შეცვლილიყო სასწავლო კურსით „ვალაუვალობის სამართალი“ ან „შედარებითი გადახდისუნარიანობის სამართალი“, სადაც გარკვეული თემატიკა დაეთმოდა სარეიტინგო კომპანიების საკითხებსაც.

- სასწავლო კურსის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სისხლის სამართლის ნორმებთან დაკავშირებით“ მიზანი იყო სტუდენტებისთვის ღრმად და სისტემურად ესწავლებინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან დაკავშირებული სამართალწარმოების პრაქტიკა. ამასთან, აღსანიშნავი იყო, რომ

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტის არსისა და დანიშნულების, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლების, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს ადგილის, როლისა და უფლებამოსილებების, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციისა და სამართლებრივი სტატუსის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი სტადიების საკითხთა სწავლებას საბაკალავრო საფეხურის სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო სამართალი“-ს ფარგლებში მხოლოდ 2 სალექციო საათი ეთმობოდა. სასურველი იყო საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დანერგილიყო სასწავლო კურსი „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“.

- სასწავლო კურსი „ევროკავშირის სამართლის იმპლემენტაცია და მოლაპარაკების ტექნიკა“ ხელოვნურად აერთიანებდა ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსს. სასურველი იყო მოლაპარაკების ტექნიკის საკითხები გამოტანილი ყოფილიყო აღნიშნული სასწავლო კურსის თემატიკიდან.

- სასწავლო კურსი „საერთაშორისო დაბეგვრა“ საკმაოდ სპეციფიური იყო. იგი შეიძლება დაედო მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელსაც გააჩნდა ფუნდამენტური ცოდნა საგადასახადო სამართალში. სასურველი იყო აღნიშნული სასწავლო კურსის ნაცვლად სტუდენტებისთვის შეთავაზებული ყოფილიყო სასწავლო კურსი „შედარებითი საგადასახადო სამართალი“ ან „საერთაშორისო საგადასახადო სამართალი“, რომელთა ფარგლებშიც განხილული იქნებოდა აღნიშნული სილაბუსით გათვალისწინებული ორმაგი დაბეგვრის წარმოშობისა და მისი თავიდან აცილების საკითხებიც.

- სპეციალობით მომუშავე სტუდენტებისთვის (მაგალითად, პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი და ა.შ.), არარელევანტური იყო სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტი - იურიდიულ კლინიკა (15 კრედიტი). სასურველი იყო აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამას კლინიკური სწავლების ნაცვლად გათვალისწინებინა კრედიტის ალტერნატიულად დაგროვების შესაძლებლობა, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოებებიდან და რეკომენდაციებიდან არცერთი არ ეხებოდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს. მისივე თქმით, პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობით იქნებოდა დაკავებული, იყო დიდი არჩევანის საშუალება. პროგრამის კურიკულუმში წინასწარ იქნებოდა ცნობილი მისით დაინტერესებული პირებისთვის და დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში, არ ჩაერთვებოდნენ. სარეიტინგო სამართლის კურსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება თავის შეკავებას არჩევდა აღნიშნული კურსის სწავლებისგან, რადგან პროგრამა საჭიროზე მეტ არჩევით კურსს მოიცავდა. ასევე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კურსი უცვლელი დარჩებოდა. სასწავლო კურსის „ევროკავშირის სამართლის იმპლემენტაცია და მოლაპარაკების ტექნიკა“ შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ, კურსი რამდენიმე თემატიკას აერთიანებდა, მისი მსგავსი კურსები საქართველოს მსგავსად გარდამავალ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ქვეყნებში ისწავლებოდა და საქართველოს კონტექსტში ის მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე საოცრივებისა და ევროინტეგრაციის პროცესიდან გამომდინარე.

დაწესებულების პროორექტორმა გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტის ბოლო ორი რეკომენდაცია საინტერესოდ მიიჩნეოს, თუმცა გათვალისწინებული არ ყოფილა, თუმცა, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევდა, რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა.

განხილვის ბოლოს, საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა ექსპერტს კითხვით მიმართა, გავიდოდა თუ არა პროგრამა შედეგებზე, თუკი, ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იქნებოდა, რაზეც ექსპერტისგან დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს სამართლის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: განათლების ადმინისტრირება

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, გოგა ბუჩაშვილმა წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი და დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები:

- სასურველი იყო პროგრამაზე მისაღები გამოცდების თემატიკის, ლიტერატურისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება;

- პროგრამის შემადგენელ სილაბუსებში აღინიშნებოდა სწავლების მეთოდების ურთიერთდინამური მრავალფეროვნება. სასურველი იქნებოდა, სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შერჩეულიყო;

- სასურველი იყო, პროგრამაში არსებული კონცენტრაციების შემადგენელი არჩევითი სასწავლო კურსებიდან გამოყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში 9 აკადემიური პერსონალი და 17 მოწვეული პედაგოგი იყო ჩართული. პროგრამას ორი ძირითადი კონცენტრაცია გააჩნდა: ზოგადი და უმაღლესი განათლება, ასევე, პრაქტიკული, კვლევითი და ზოგადი ბლოკები. პროგრამა 50-ზე მეტ სასწავლო კურსს ითვალისწინებდა, თუმცა, წარმომადგენელი ეთანხმებოდა ექსპერტის შენიშვნას, რომ სტუდენტს შესაძლოა თავიდან კონცენტრაციის განსაზღვრაში სირთულე შეექმნოდა, ამიტომაც პროგრამაში სავალდებულო და არჩევითი კურსების პროპორციულად შეთავაზება მოხდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვინაიდან პროგრამა მულტიდისციპლინური შინაარსის იყო და შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო

პროგრამა არ გააჩნდა მიღბის წინაპირობად, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგებთან ერთად, პროგრამაზე მიღბის წინაპირობად სამოტივაციო ესეს, გასაუბრების და წინარე გამოცდილების გათვალისწინება იგეგმებოდა სამომავლოდ.

დაწესებულების პრორექტორმა განაცხადა, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები იყვნენ.

საბჭოს წევრის, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, მოხდებოდა თუ არა პროგრამაზე იმ პირების ჩარიცხვა, ვისაც შესაბამისი ცოდნა და უნარები გააჩნდა. აღნიშნულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე განათლების, სოციალური მეცნიერებებისა და ადმინისტრირების მიმართულებით ბაკალავრის ან შემდგომი ხარისხის მქონე პირები მიიღებდნენ. მისივე თქმით, პროგრამა კურსდამთავრებულს განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს ანიჭებდა.

ნანა შათაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა კონცენტრაციებში ზოგიერთი სასწავლო კურსი სავალდებულო ყოფილიყო. ასევე, ყურადღება მიქცეოდა წინაპირობების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რადგან პროგრამა კურსების დიდ მრავალფეროვნებას აერთიანებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ უმაღლესი და ზოგადი განათლების კონცენტრაციებად გამოიჯვინიას აღნიშნული პირობა გათვალისწინებულ იქნა და ამჟამად წინაპირობები მეტი სიმარტივით იყო დალაგებული, სავალდებულო კურსების რაოდენობა კი გაზრდილი იყო. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, გოგა ბუჩაშვილმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა: ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისთვის, ვინაიდან საბჭოზე, ობიექტური მიზეზების გამო, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საბჭოს სხდომაზე მოსვლა ვერ მოახერხეს. საბჭოს წევრებმა ერთხმად დააკმაყოფილეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და მოცემული საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისთვის.



6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: აგრარული ტექნოლოგიები

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ა) აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი აგრონომიაში

ბ) აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჩიჩუამ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის დროს გამოვლენილი და დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები.

- სასურველი იყო გასწორებულიყო დისერტაციის დაცვის სილაბუსში შეფასების სისტემაში არსებული წინააღმდეგობა. კერძოდ, სილაბუსში, შეფასების სისტემის გვერდით ასევე მოცემული იყო სტანდარტული ჩანაწერი (A, B, C, D, E, Fx, F), რაც დამაბნეველი იყო და გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო;

- სასურველი იყო, პროგრამაში არ დაფიქსირებულიყო შესაძლო თემატიკის შეზღუდვა. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყო კვლევის თემატიკა, რაც, ექსპერტთა შეფასებით, ზედმეტ კონკრეტიკას წარმოადგენდა და ამცირებდა პროგრამის მოქნილობას;

- სასურველი იყო, სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციას მოეცვა უცხოელი სტუდენტების თელავის უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევითი აქტივობების კომპონენტიც და უზრუნველყოფილი ყოფილიყო შესაბამისი გარემო.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის ერთ-ერთი კონცენტრაცია მეღვინეობა-მევენახეობა იყო, ასევე, სატყეო საქმე და არ იყო გამორიცხული უცხოელ დოქტორანტს მეტი კვლევა ჩაეტარებინა მოცემულ სფეროებში. მისივე თქმით, აღნიშნული დარგებით ბევრი უცხოელი მკვლევარი იყო დაინტერესებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ შეასრულა აღნიშნული სადოქტორო პროგრამის დამატების მოტივატორის როლი, ასევე, რა რესურსები გააჩნდა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, უნივერსიტეტი უკვე ახორციელებდა რამდენიმე პროგრამას და აღნიშნულ დარგში და სადოქტორო პროგრამის ამოქმედებაც აუცილებლად მიაჩნდათ. წარმომადგენლის თქმით, რეგიონი აგრარული ფოკუსით გამორჩეული იყო. ასევე, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობდა მეურნეობის დარგში - ნიადაგში რთული პროცესები მიმდინარეობდა, რაც უცნობი იყო ფერმერისთვის და მეცნიერთათვის, რისი კვლევისთვისაც კახეთის რეგიონი საინტერესო ლოკაცია იყო. პროგრამა მოამზადებდა კადრს, რომელიც აღნიშნულ გამოწვევებს გაუმკლავდებოდა. წარმომადგენლის თქმით, მაღალკვალიფიციური აგრონომი ბაზარზე იშვიათი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ უნივერსიტეტში უკვე მოქმედებდა შესაბამისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და ამ პროგრამების სტუდენტებს ჰქონდათ სწავლის სადოქტორო საფეხურზე გაგრძელების სურვილი. იგი მიესალმებოდა ექსპერტების რეკომენდაციებს, თუმცა აღნიშნა, რომ ცვლილებები ჯერჯერობით ოფიციალურად არ გატარებულა, რაც მალევე მოგვარდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაწესებულების შესაბამისი ლაბორატორიული რესურსით დაინტერესდა. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის და ქიმიის თანამედროვე ლაბორატორია შეიძინა, პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით. ასევე, დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმები კვლევით დაწესებულებებთან თბილისში, რომლებიც უნივერსიტეტის არასაკმარისი ლაბორატორიული რესურსის შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობისთვის სათანადო ბაზის ფუნქციას იტვირთავდნენ.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, როგორ იყო თანამედროვე ცოდნა და ტენდენციები პროგრამაში ასახული და იყო თუ არა მიღების წინაპირობად გათვალისწინებული უცხო ენის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაში გათვალისწინებული იყო ენობრივი კომპეტენციის საკითხი. პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტი თანამშრომლობდა პოლონეთთან, საიდანაც მოსალოდნელი იყო სტუდენტების გარკვეული რაოდენობის მიღებაც, უნივერსიტეტში მოწვეული იყო პოლონელი მკვლევარი (მეტყვე), რომელიც განაგრძობდა პროგრამის ფარგლებში დაწესებულებასთან თანამშრომლობას. ასევე, წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ესპანეთში, სადაც მოძიებულ იქნა პროგრამის შესაბამისი ლიტერატურა, ჩატარდა კვლევები, ა.შ. წარმომადგენლის თქმით, პროგრამასთან თანამშრომლობით დაინტერესებული იყო სლოვაკი პროფესორიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ჩართული იყო საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში და სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება განახლებად ლიტერატურას გაცნობოდნენ. საბჭოს წევრის მორიგ კითხვაზე, სპეციფიკური აგრომომართულების ლიტერატურის არსებობის შესახებ, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰქონდათ „ელსევიერი“, „ვეერგრინი“ და სხვები, რაც დაადასტურეს ექსპერტებმა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რამდენად გაიზრდებოდა პროგრამაში ჩართული დოქტორანტებისთვის დასაქმების ბაზარი - მისივე თქმით, კვლევების წარმოება ცალსახად აუცილებელი იყო, თუმცა კვლევა დისერტაციის დაცვის გარეშე იყო შესაძლებელი. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კახეთის რეგიონის საწარმოები ითხოვდნენ სპეციალისტებს, რომლებსაც სიახლის დანერგვის უნარი და შესაბამისი ცოდნა ექნებოდა. ყვარლის მუციციპალიტეტში არსებული

ერთ-ერთი საწარმო ითხოვდა კვალიფიციურ აგრონომებს დოქტორის ხარისხით, რადგან ბევრ კვლევას აწარმოებდა და სიახლის დანერგვა სურდა, უნდოდათ ახალი ჯიშების გამოყვანა და პროგრამის შემუშავებაშიც მიიღეს მონაწილეობა. ექსპერტმა დამატებით დაადასტურა, რომ დამსაქმებელი ხშირად ითხოვდა დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტებს. დამსაქმებელს ესაჭიროებოდა უახლესი ცოდნა, უახლესი კვლევის შედეგები, რასაც მეცნიერის დონე სჭირდებოდა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა პროგრამაში ჩართულ პროფესორებს საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ასევე, მოეთხოვებოდათ თუ არა დოქტორანტებს საერთაშორისო მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში სტატიების გამოქვეყნება. დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვას დადებითი პასუხი გასცა. ექსპერტმა დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ დოქტორანტებს მოეთხოვებოდათ რეგულარულად გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნება, თუმცა არა იმპაქტ ფაქტორიანში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ იყო სასწავლო პროგრამაში შეტანილი ფსიქოლოგიის კურსი. წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ კურსი არჩევითი იყო, ადრე ფილოსოფიის კურსი ჰქონდათ პროგრამის არჩევით კომპონენტში, თუმცა სტუდენტების რჩევით ამჯერად ფსიქოლოგიის შეტანა არჩიეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ მიღებაზე 3 დოქტორანტის მიღების სურვილს გამოთქვამდნენ, წინაპირობა კი იგივე ან მონათესავე დარგში წინა საფეხურის ხარისხი და ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის კომპეტენცია იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: მაგდა მალრაძემ, ლევან გორდეზიანმა, ბორის ლეჟავამ, ნანა შათაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხების - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირება და ფუნქციონალური ანალიზის სადოქტორო პროგრამა განხილვის მომდევნო საბჭოს სხდომისთვის გადადების თაობაზე.

16:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მალრაძე



მდივანი
თუთა ნარმანია

